

მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში

მედიის მონიტორინგის შუალედური ანგარიში

„ადამიანის უფლებათა ცენტრი“

I პერიოდი - 2011 წ. 30 მაისი / 3 ივლისი



მედია მონიტორები: ალექო ცქიტიშვილი

სალომე აჩბა

შორენა ლათათია

თეა თოფურია

მეთოდოლოგიის მიმოხილვა

მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულის საკითხების გაშუქების მედიამონიტინგი განხორციელდა 5 კვირის განმავლობაში - 30 მაისი - 3 ივლისი.

მედიამონიტორინგისთვის შეირჩა შემდეგი მედიასაშუალებები:

გაზეთები:

- „ალია“
- „რეზონანსი“
- „ახალი თაობა“

ტელევიზია

- საზოგადოებრივი მაუწყებელი (დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მომხე“)


მედიასაშუალებების შერჩევის კრიტერიუმები

მედიის საშუალებების შერჩევისას ყურადღება გამახვილდა ისეთ კრიტერიუმებზე როგორებიცაა:

- 1) დაფარვის ზონა: „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მსგავსად, შერჩეული გაზეთების დაფარვის ზონა მთელ საქართველოს მოიცავს;
- 2) შერჩეული მედიასაშუალებების დაინტერესება და შედარებით მეტი კონცენტრირება მართლმსაჯულების თემაზე;
- 3) პასუხისმგებლობა: „საზოგადოებრივი მაუწყებელს“ საზოგადოების ინფორმირების თვალსაზრისით კერძო ტელევიზიებთან შედარებით მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება.

სწორედ ამ მიზეზით, მონიტორინგისთვის მედიასაშუალებების შერჩევისას, კერძო ტელევიზიებსა და „საზოგადოებრივი მაუწყებელს“ შორის არჩევანი ამ უკანასკნელზე შეჩერდა.


მედიამონიტორინგის ხუთკვირიან მონაკვეთში ჯამში გაანალიზდა 43 სიუჟეტი და 183 სტატია.



მეთოდოლოგიის დამუშავებისას, მედიამონიტორინგისთვის შემდეგი ქვეთემები შეირჩა:

- სასამართლო
- გამოძიება
- პატიმრების უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები
- საპროცესო შეთანხმება
- სამართალდარღვევა
-

შერჩეული ქვეთემებიდან გაშუქდა:



ინდიკატორები

რაოდენობრივი კომპონენტი

- სივრცე
- ტონი
- თემატიკა
- გაშუქების ტიპი (პირდაპირი/ირიბი)
- გეოგრაფია, რეგიონი

თვისებრივი კომპონენტი

- ბალანსი (წყაროთა რაოდენობა)

- ობიექტურობა, მიუკერძოებლობა
- ფაქტებზე აგებული გაშუქება
- პოზიციონირება
- მნიშვნელობა
- არათიკური ეპითეტები
- მკაფიოობა
- ჟურნალისტის კვალიფიციურობა

3 გაზეთის („რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „ალია“) და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხუთკვირიანი მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ზოგადი ტენდენცია:


- მედიასაშუალებების ნაწილს აქვს სერიოზული პრობლემა პროფესიული სტანდარტების დაცვის კუთხით
- მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული მასალების ნაწილში შინიშნება მოქალაქეების უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ნიშნები
- ჟურნალისტები მთელ რიგ შემთვევებში არიან მიკერძოებულები, მათ მიერ მომზადებული მასალა კი დაუბალანსებელია, ხშირად, ინფორმაციები ყოველგვარი გადამოწმების გარეშე იბეჭდება
- მასალები ძირითადად დედაქალაქში მიმდინარე მოვლენებს ეხება
- სახელმწიფო სტრუქტურებს საზოგადოებრივ მაუწყებელთან უფრო მეტი კომუნიკაცია აქვთ, ვიდრე გაზეთებთან

საზოგადოებრივი მაუწყებელი. დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“

მედია მონიტორი: ალექო ცქიტიშვილი

მონიტორინგის ოთხკვირიან მონაკვეთში „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვება „მოამბეში“, მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით სულ 43 სიუჟეტი გაშუქდა.

სიუჟეტების გეოგრაფია ასეთია:



სიუჟეტები ქვეთემების მიხედვით ასე გადანაწილდა:

სამართალდარღვევა - 12 სიუჟეტი


სასამართლო - 7 სიუჟეტი

გამოძიება - 24 სიუჟეტი


სულ: 43

სუბიექტები

სუბიექტების გაშუქების ხანგრძლივობა (წმ-ბში)




სუბიექტების გაშუქების ტიპი (პ/ირ)



სუბიექტების გაშუქების ტონი

■ დადებითი ■ ნეიტრალური ■ უარყოფითი



ადამიანის უფლებების დაცვა და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება დემოკრატიული საზოგადოების განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, სრულყოფილად და ობიექტურად გააშუქოს ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში. მან საზოგადოებას უნდა მიაწოდოს არა მარტო ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები, არამედ არსებული პრობლემების ანალიზიც. საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა იყოს საზოგადოების დამცველი, მკაცრად აკრიტიკებდეს ადამიანის უფლებების ნებისმიერ დარღვევას და სისტემური მონიტორინგს უწევდეს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში.

სამწუხაროდ, საზოგადოებრივი მაუწყებელი არათუ ასრულებს ამ ვალდებულებებს, არამედ ხშირად თვითონვე გვევლინება ადამიანის უფლებების დამრღვევად. 2 ივნისიდან 23 ივნისის ჩათვლით საზოგადოებრივი მაუწყებლის

მთავარი საინფორმაციო გადაცემის „მოამბის“ მონიტორინგის პროცესის დროს ჩვენ პრაქტიკულად არ შეგვხვედრია სიუჟეტი, რომელშიც ნაჩვენები იქნებოდა უსამართლოდ დაკავებული ადამიანების უფლებები დარღვევები, საპატიმროებში არსებული სავალალო მდგომარეობა, ქართული საერთო სასამართლოებისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა სახის პრობლემები და ა.შ. „მოამბე“ და მისი ჟურნალისტები თითქმის ყოველთვის ბრალმდებლებად გვევლინებიან და საზოგადოებას თავს ახვევენ რეპრესიული ძალოვანი სტრუქტურის - შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიციებს.

„მოამბეს“ ჟურნალისტების მიერ მომზადებული სიუჟეტებიდან კარგად ჩანს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელს არ გააჩნია დამოუკიდებელი საინფორმაციო პოლიტიკა. „მოამბე“ ემსახურება არა ქართული საზოგადოების, არამედ საქართველოს ხელისუფლების ინტერესებს, რაც ტელევიზიის პირველი არხისთვის ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან იყო დამახასიათებელი. მრავალჯერ გამოცხადებული სატელევიზიო რეფორმის, ტელევიზიის ხელმძღვანელი ჯგუფის არაერთგზის შეცვლის, ეთიკის კოდექსებისა და სხვა მარეგულირებელი აქტების ამოქმედების მიუხედავად, „1 არხი“ მაინც ვერ ჩამოყალიბდა ისეთ საზოგადოებრივ მაუწყებლად, რომელიც უპირველეს ყოვლისა, იქნებოდა საზოგადოების ინტერესების დამცველი და არა ხელისუფლების რუპორი.

ჩვენი მონიტორინგის პერიოდი დაემთხვა 2011 წლის ყველაზე ცხელი დღეების - 26 მაისს რუსთაველის გამზირზე „სახალხო კრების“ მხარდამჭერთა მიტინგის ძალის გამოყენებით დაშლისა და თანმდევ სამართლებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს. ამ პერიოდში ხელისუფლება, განსაკუთრებით - შინაგან საქმეთა სამინისტრო, იმ ოპოზიციური ძალების დისკრედიტაციას ცდილობს, რომლებიც ხელისუფლების წინააღმდეგ დემონსტრაციებს აწყობენ. შსს ცდილობს დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ამ ძალების მიზანი ქვეყანაში მასობრივი არეულობის პროვოცირება და შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელისუფლებაში მოსვლაა. ასეთ ვითარებაში, ფაქტობრივად, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში მუშაობს შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც მედიას სისტემატიურად აწვდის უშუალოდ შსს-ში მომზადებულ ე. წ. ოპერატიულ ვიდეომასალებს, ფარულ აუდიოჩანაწერებს და სხვა სახის დოკუმენტებს, რითაც ცდილობს, ამხილოს ხელისუფლების პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დანაშაულებრივი საქმიანობა. საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გადაცემა „მოამბე“ აქტიურად იყენებს ამ მასალებს, რაც გასაგები და ნორმალური იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი უზრუნველყოფილი იქნებოდა ამ მასალების კრიტიკული ანალიზი და საზოგადოებისთვის მიუკერძოებელი მიწოდება. სამწუხაროდ, ასე არ ხდება.

26 მაისს რუსთაველის გამზირზე საპოლიციო ძალების მიერ არასანქცირებული მიტინგის დაშლის გაშუქებისას „მოამბე“ საუბრობს არა სპეცრაზმის მიერ დემონსტრანტების მიმართ გამოჩენილ სისასტიკესა და

გადამეტებული ძალის გამოყენებაზე, არამედ პირიქით - საპროტესტო აქციის ორგანიზატორების - „სახალხო კრების“, „შეფიცულებისა“ და ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის“ ლიდერთა თუ წარმომადგენელთა უკანონო ქმედებებზე. ოპოზიციის ლიდერთა წინააღმდეგ „მოამბე“ იყენებს არაეთიკურ ეპითეტებს, რომლებიც ხშირად სიუჟეტების სათაურებადაც გააქვს.

მაგალითად, 30 მაისს 26 მაისის მიტინგის დაშლის თემას „მოამბემ“ **5 სიუჟეტი** მიუძღვნა. ხუთივე პირველი სიუჟეტია და ეთერში ერთმანეთის თანმიმდევრობით გავიდა. საერთო ჯამში ხუთივე სიუჟეტის **ხანგრძლივობა იყო 35 წთ 26 წმ.** „მოამბე“ ცდილობს, მაყურებელი დაარწმუნოს, რომ მოსკოვიდან იგეგმებოდა სახელმწიფო გადატრიალება და ძალადობრივი პროვოკაციები, რაც აღკვეთა შსს-მ. „მოამბის“ ასეთ მიზანმიმართულებას ასახავს სიუჟეტების შეფასებითი და სარკაზმის შემცველი სათაურებიც: **„ძალადობრივი პროვოკაციები“**, **„მოსკოველი გულშემატკივრები“**, **„ზღაპრული ფიასკო“** და სხვა. ერთ-ერთი სიუჟეტის სათაური - **„დეიდა ბიცოლას გეგმები“** შეიცავს შეურაცხმყოფელ ეპითეტს „სახალხო კრების“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის მისამართით. მართალია, ეს ეპითეტი სიუჟეტის ერთ-ერთ სუბიექტს ეკუთვნის (**თემურ ხაჩიშვილს**) და არა ჟურნალისტს, მაგრამ ჟურნალისტები და დიქტორები ხალისით ცდილობენ ამ ეპითეტის დამკვიდრებას და სიუჟეტის სათაურშიც ბრჭყალების (ციტირების) გარეშე იყენებენ.

„მოამბის“ მსგავს პოლიტიზებულ სიუჟეტებს, როგორც წესი, აერთიანებს დარღვეული ბალანსი - წყაროების დიდი რაოდენობის მიუხედავად, ფაქტობრივად, არ არის მეორე მხარის წარმომადგენელი რესპოდენტები: ბრალდებულთა ადვოკატები, ან ისეთი ექსპერტები, რომლებიც სრულიად საპირისპირო რაკურსით შეაფასებდნენ 26 მაისის მოვლენებს. სიუჟეტები, ძირითადად, ეყრდნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარულ ჩანაწერებს, სადაც მიმდინარე საუბრები წარმოდგენილია უცილობელ ფაქტად. საერთოდაც, არა მარტო 26 მაისის მოვლენების, არამედ სხვა პოლიტიზებული თემების გაშუქებისას, „მოამბის“ **ჟურნალისტები სპეციალურად არჩევენ ოპოზიციისა და ექსპერტების ისეთ წარმომადგენლებს, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა კომენტარებისგან განსხვავებულ კომენტარებს არ აკეთებენ.** მათ არანაირი ეჭვი არ შეაქვთ შსს მიერ გავრცელებულ ოპერატიულ მასალებში.

31 მაისს „მოამბეს“ სიუჟეტი (#3) ეძღვნება „ქართული პარტიის“ ლიდერის, პოლიტიკური დევნილის სტატუსით საფრანგეთში მყოფი **ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებას**, თითქოსდა საქართველოს ხელისუფლება ჩრდილოკავკასიელ ტერორისტებს ფარულად აძლევდა საქართველოში მოძრაობის საშუალებას. **სიუჟეტის სათაური - „რუსების ოქრო“** არის არა მხოლოდ დამცინავი და შეურაცხმყოფელი ეპითეტი სიუჟეტის მთავარი გმირის - ირაკლი ოქრუაშვილისადმი („ოქრო“, ანუ ოქრუაშვილი), არამედ შეიცავს ქსენოფობიურ ელემენტს. ეპითეტში „რუსების ოქრო“ (და არა რუსეთის) უარყოფით კონტექსტშია მოხსენიებული რუსი ხალხი და არა სახელმწიფო რუსეთი. **სიუჟეტი პირდაპირ იწყება დიქტორის**

შეურაცხყოფელი და ტენდენციური ფრაზით: „დალატის კლასიკური მაგალითი, იგორ გიორგაძის თანამოაზრის ბოდვა, რუსეთის სპეცსამსახურების დაბალი ჩინის წარმომადგენელი, ირაკლი ოქრუაშვილის, როგორც პოლიტიკური ფიგურის დასასრული - ასე აფასებენ პოლიტიკოსები და ექსპერტები ირაკლი ოქრუაშვილის მიერ პუტინის არხისტვის მიწოდებულ მორიგ დეზინფორმაციას“. მსგავსი ტენდენციური და აგრესიული ფრაზები სიუჟეტში ბევრია. დიქტორის მიერ ნახსენები „პოლიტიკოსები და ექსპერტები“ კი სიუჟეტში არიან „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ან შერჩევით შერჩეული ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებიც ირაკლი ოქრუაშვილის პერსონას უარყოფითი ტონით განიხილავენ. ქართული პარტიის კიდევ ერთი წევრის, სოზარ სუბარის კომენტარი სიუჟეტში არ არის. თუმცა, სუბარს ჟურნალისტი ახსენებს ირიბად ასევე **ნეგატიური ტონით**.

სიუჟეტი აგებულია არა ფაქტებზე, არამედ მოსაზრებებზე. შერჩეულია ისეთი ექსპერტები, რომლებიც ირაკლი ოქრუაშვილის მიერ რუსულ არხზე გამოთქმულ ბრალდებაზე კი არ საუბრობენ, არამედ თავად ოქრუაშვილის პერსონას აფასებენ ნეგატიურად. სიუჟეტში ადგილი აქვს ვიზუალური ეფექტით მანიპულაციას - სპეციალურად არის გამოყენებული მარგინალური პოლიტიკური ფიგურა იგორ გიორგაძე და მისი ძველი განცხადებები, რომ იგი მალე ჩამოვა საქართველოში. ეს გამონათქვამები დაკავშირებულია ირაკლი ოქრუაშვილის მსგავს განცხადებებთან, რითაც შემოთავაზებულია ლოგიკა, რომ ორივე ეს პოლიტიკოსი რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენელია და ერთნაირად იმიტომ ლაპარაკობენ. ამასთან, სიუჟეტის მიხედვით, იგორ გიორგაძე თუ რუსეთის სპეცსამსახურების გენერალია, ირაკლი ოქრუაშვილი არის „დაბალი ჩინის წარმომადგენელი“ („ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ნუგზარ წიკლაურის შეფასება).

1 ივნისს „მომბე“ აქვეყნებს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებას, რომელიც ეხება „სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერის, ბადრი ბიწაძის პერსონას. სამინისტრო აცხადებს, რომ ბიწაძე არ თანამშრომლობს გამოძიებასთან. მსგავსი „სიუჟეტი“ იყო 30 მაისის „მომბეში“. ამ შემთხვევაში, გადაცემის დიქტორმა შსს-ს განცხადება წაიკითხა. მხოლოდ სამთავრობო სტრუქტურების ოფიციალური განცხადებების გამოქვეყნება, კომენტარების, მეორე მხარის პოზიციისა და ნეიტრალური ექსპერტების შეფასებების გარეშე, საზოგადოებრივ მაუწყებელს, ფაქტობრივად, აქცევს ამ უწყებების ოფიციალურ ვებ-გვერდად და იგი ვეღარ ახორციელებს საზოგადოებრივი მაუწყებლის წესდებით დადგენილ ფუნქციებს.

„მომბე“ შინაგან საქმეთა მასალებს იყენებს არა მარტო მსგავსი პოლიტიკური თემების, არამედ სხვა ნაკლებად პოლიტიკური მოვლენებისა და ჩვეულებრივი კრიმინალური შემთხვევების გაშუქებისას. სიუჟეტები ისეა მომზადებული, რომ ჩანს, „მომბე“ უკრიტიკოდ იზიარებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვერსიებს, პოზიციებს თუ მოსაზრებებს. ზოგჯერ ჟურნალისტები თავს საერთოდ არ იწუხებენ დამატებითი კომენტარების ჩაწერისგან, ხშირად კი მათ მიერ შეგროვებული კომენტარებიც შსს-ს პოზიციების გამყარებას ემსახურება

მაგალითად განვიხილოთ 2 ივნისის „მომბე“, რომელიც სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე ორი პირის დაკავების შესახებ სიუჟეტით იწყება. დაკავებულებს ბრალი ტერაქტის მცდელობაში ედებათ. **სიუჟეტის პოზიციონირება (#1 სიუჟეტი) გაკვირვებას არ გამოიწვევდა, რომ არა ჟურნალისტის მხრიდან ამ მართლაც მნიშვნელოვანი ამბავის არასრულყოფილი გაშუქება, ფაქტებისადმი და წყაროების შერჩევისადმი ზერელე დამოკიდებულება.** სიუჟეტი მთლიანად შსს-ს მასალებზე და მონაცემებზეა აგებული. საზოგადოებრივი მაუწყებელი არ ინტერესდება დაკავებულთა წარმომავლობით, არ ეძებს მათ ნათესავებს, ადვოკატებს და სხვა ისეთ წყაროებს, რომლებიც ამ **ტენდენციურ სიუჟეტს** დააბალანსებდა. ხაზგასასმელია **ვიზუალური ეფექტებით მანიპულაცია** - შსს-ს საზოგადოებასთან უერთიერთობის დეპარტამენტის მიერ „მომბესთვის“ მიწოდებული ოპერატიული ჩანაწერიდან - უხარისხოდ გადაღებული ვიდეოლოკუმენტიდან **ჩანს, როგორ გადმოდიან მდინარეზე მოხუცი ქალბატონი და ახალგაზრდა მამაკაცი.** ისინი რაიმე უკანონობას არ სჩადიან. მაყურებელს გაუჩნდება კიდეც კითხვა - ეს მოხუცი ქალი როგორ აპირებდა ტერაქტის ჩადენას? თუმცა, სიუჟეტიდან ამ კითხვაზე პასუხს ვერ მიიღებს. მეტი ეფექტისთვის ასევე დამატებით გამოყენებულია შსს-ს მიერ გადაღებული ვიდეოკადრები - როგორ აუვნებელყოფენ წყლის ჭავლით ასაფეთქებელ მოწყობილობას სამართალდამცველები. თუმცა, ეს **კადრებიც და ოპერატიული მასალაც მოკლებულია დამაჯერებლობას** და მედიის სპეციფიკაში მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულ მაყურებელში მხოლოდ კითხვებს ბადებს. საბოლოო ჯამში, ამ არასრულყოფილ სიუჟეტში ჟურნალისტის ერთადერთი წყარო არის შსს. ერთადერთი კომენტარი მოპოვებულია შსს-ში ჩატარებული ბრიფინგიდან (საუბრობს დეტექტივი ბუხრაშვილი). სიუჟეტის მსვლელობისას ჟურნალისტი „მომბის“ პირდაპირ ეთერშიც ერთვება, რა დროსაც მის უკან ფონად შსს-ს შენობა მოჩანს. ტენდენციური ხასიათის გამო სიუჟეტს მკაფიოობაც აკლია.

შესაძლოა, საზოგადოებრივი მაუწყებელი თვითონაც არ დააკმაყოფილა ასეთმა არასრულყოფილმა გაშუქებამ. ამიტომაც ამ შემთხვევას „მომბე“ 3 ივნისსაც უბრუნდება, ამჯერად - შედარებით სრულყოფილად მომზადებული სიუჟეტით. ჟურნალისტი უკვე ბევრ წყაროს უყრის თავს, მათ შორის - ექსპერტებს და პოლიტიკოსებს. სიუჟეტში ჩართულია შსს-ს ოპერატიული ვიდეომასალა, სადაც მდინარეზე გადმოსვლისას დაკავებული მოხუცი ქალბატონი - **თამილა ბენია უკვე აღიარებით ჩვენებას იძლევა** და აცხადებს, რომ მას რუსეთის სპეცსამსახურებმა საქართველოს ტერიტორიაზე დივერსიული აქტების მოწყობა დაავალეს. იგი ასახელებს კონკრეტულ პიროვნებებს - აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფ რუს სამხედროებს და აცხადებს, რომ მათ გარკვეული ანაზღაურების ფასად გამოგზავნეს.

ამავე თემას აგრძელებს მომდევნო - #2 სიუჟეტი, სადაც საუბარია ბოლო წლების განმავლობაში რუსეთის სპეცსამსახურების მიერ საქართველოში დაგეგმილი და განხორციელებული ტერაქტების შესახებ. დადებითად არიან მოხსენიებული ქართველი სამართალდამცველები (ძირითადად - შსს-ს), რომლებმაც რამდენიმე დაგეგმილი ტერაქტი აღკვეთეს.

პირველი და მეორე სიუჟეტის პოზიციონირება, თემის სერიოზულობიდან გამომდინარე, საკამათო არ არის. თუმცა, ორივე სიუჟეტში კვლავ ზომაზე მეტია შსს-ს ოპერატიული ვიდეომასალები, რაც ჟურნალისტს მიკერძოებაში უნდა ჩაეთვალოს. ანალიზის პროცესში ექსპერტები და პოლიტიკოსები (მათ შორის - ოპოზიციის წარმომადგენლები) შერჩევით არიან ჩართული. ჟურნალისტს არა ჰყავს ჩაწერილი ის ექსპერტები და პოლიტიკოსები, რომლებიც შსს-ს მიერ წარმოდგენილ მსგავს „ოპერატიულ მასალებს“ კრიტიკულად და უნდობლობით უყურებენ.

ადამიანის უფლებებისა და მართლმსაჯულების თემის გაშუქებისას, „მოამბე“ არა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების, არამედ მმართველი პარტიის ინტერესების გამტარებელია. საზოგადოებრივი მაუწყებელი შემთხვევას არ უშვებს ხელიდან და გამიზნულად ახდენს სხვა პარტიების დისკრედიტაციას. ასეთი „შავი პიარის“ კლასიკური მაგალითია 16 ივნისის „მოამბის“ #1 სიუჟეტი უძღვის. სიუჟეტის სათაური - „გამომძაღვლის დაკავება“ უკვე შეიცავს ჟურნალისტური სტანდარტისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას. ამ გზით ჯერ კიდევ გაუსამართლებელი ბრალდებული პირდაპირ დამნაშავედ არის გამოცხადებული. სიუჟეტი კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებულ „ოპერატიულ ვიდეომასალაზე“ და დაკავებულის აღიარებით ჩვენებაზეა აგებული. უცნაურია, რომ „მოამბე“ ამ მასალებს „ექსკლუზიურს“ უწოდებს. სიუჟეტში საუბარია ოპოზიციური ფრაქცია ქრისტიან-დემოკრატების აპარატის ყოფილ უფროსზე, რომელსაც შსს ბრალს დებს მოქალაქისთვის ქრთამის გამოძალვას, თითქოსდა სანაცვლოდ იგი მას ახლობელი პატიმრის გათავისუფლებას ჰპირდებოდა. სიუჟეტის პოზიციონირება და განსაკუთრებული აქცენტი დაკავებულის ყოფილ თანამდებობაზე, გვაფიქრებინებს, რომ იგი პარლამენტის ოპოზიციური პარტიის დისკრედიტაციის მიზნით არის მომზადებული.

23 ივნისის „მოამბე“ შეიძლება ჩაითვალოს სანიმუშო მაგალითად, თუ როგორ არ უნდა გაშუქდეს საზოგადოებრივ მაუწყებელზე მართლმსაჯულების თემა. პოლიტიზებული, ანგაჟირებული და მიკერძოებული ჟურნალისტიკა, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნა - ეს ყველაფერი ერთად შეიძლება ვნახოთ 23 ივნისის „მოამბის“ მთავარ გამოშვებაში. სიუჟეტები ეხება „ქართული პარტიის“ წევრების მასობრივ დაპატიმრებას. კერძოდ, შსს-მ 20-ზე მეტი ადამიანი დააკავა, რომლებიც „ქართულ პარტიასთან“ და მის ლიდერთან - ირაკლი ოქრუაშვილთან არიან დაკავშირებულები. შსს-ს მტკიცებით, ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში ჩრდილოეთ ოსეთიდან ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის გავლით აპირებდა შემოსვლას, თანაც - რუსეთის სპეცრაზმთან ერთად, რომელსაც გზადაგზა უნდა განეიარაღებინა ქართული პოლიციისა თუ ჯარის ნაწილები. შსს-ს მტკიცებით, ოქრუაშვილის ამ დემარშში ადგილზე სწორედ ის ადამიანები უნდა დახმარებოდნენ, რომლებიც ერთდროულად დააკავეს. შსს-მ მათი აღიარებითი ჩვენებები გაავრცელა.

ამ თემის გაშუქებას „მოამბე“ ზედიზედ სამ მოწინავე სიუჟეტს (#1-2-3) უთმობს, საერთო ჯამში - თითქმის 25 წუთის ხანგრძლივობით. ეს საკმაოდ დიდი დროა იმისათვის, რომ მაყურებელს რაღაც დააჯერო. სამივე სიუჟეტი ეყრდნობა შსს-ს მასალებს. სამივე სიუჟეტი ცალმხრივია. სიუჟეტების ავტორები არ ინტერესდებიან არც დაკავებულთა ადვოკატებისა და არც „ქართული პარტიის“ წარმომადგენლების კომენტარებით. შინაგან საქმეთა სამინისტროს ვერსიებს „მოამბე“, ფაქტობრივად, საკუთარ ვერსიად წარმოგვიდგენს, რადგან ჟურნალისტები მტკიცებითი ფორმით ლაპარაკობენ და არ ასახელებენ წყაროს - შსს, ვინც დაკავებულთა ბრალეულობაზე თავის ვერსიას და მოსაზრებებს ავითარებს. ამ სიუჟეტებიდან კარგად ჩანს, რომ „მოამბე“ და მისი ჟურნალისტები, ფაქტობრივად, წარმოადგენენ ხელისუფლების, ხშირ შემთხვევაში კი შსს-ს PR-ინსტრუმენტს.

სიუჟეტში გამოყენებულია ვიზუალური ეფექტებით მანიპულაციები - ჟურნალისტი ხან „ქართული პარტიის“ ოფისთან დგას და გვიყვება, რომ ეს ოფისი არის დაკავშირებული სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებასთან, ხან რუსული წარმოების სატვირთო ავტომანქანა „ზილში“ ჯდება და ამბობს, რომ ამ მანქანით უნდა შემოეყვანა ირაკლი ოქრუაშვილს რუსეთის სპეცრაზმი საქართველოში ცხინვალის რეგიონიდან.

ჟურნალისტები თავიანთ ფრაზეოლოგიაში ბრალმდებლად გვევლინებიან და შსს-ს ვერსიებს და მოსაზრებებს მაყურებელს დამტკიცებელი ჭეშმარიტების სახით აწვდიან:

ნიმუში: „სისხლისღვრა პოლიტიკური მიზნების სანაცვლოდ! ირაკლი ოქრუაშვილი გეგმას ორ რუს ოფიცერთან ერთად ხელმძღვანელობდა. ისინი ჯერ საქართველოში უნდა შემოსულიყვნენ და შემდეგ ადმინისტრაციული შენობები უნდა აეღოთ“...

კიდევ ერთი ნიმუში: **„რუსული გეგმების განსახორციელებლად მანქანაც რუსული იყო არჩეული. ეს ის ავტომანქანაა, რომლითაც ირაკლი ოქრუაშვილს მის თანამოაზრებთან ერთად საქართველოს ტერიტორიაზე ცხინვალის მხრიდან რუსეთის სპეცრაზმელები უნდა შემოეყვანათ“.** ამ სიტყვების წარმოთქმისას, ჟურნალისტი მიმართავს ვიზუალურ მანიპულაციას - „ზილში“ ჯდება და კარს იჯახუნებს.

#2 სიუჟეტის სათაური „რუსული ოქრო“, რომელიც არის მინიშნება ირაკლი ოქრუაშვილის გვარზე, წარმოადგენს არაეთიკურ ეპითეტს. მსგავსი სათაური „მოამბის“ სიუჟეტს ადრეც ჰქონდა. სიუჟეტი მაშინაც ირაკლი ოქრუაშვილს ეხებოდა.

მთავარი პრობლემა, რაც ამ სიუჟეტებს აერთიანებს, არის უკრიტიკოდ და უკომენტაროდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიდეო და სხვა სახის მასალების გამოყენება. ისე გამოდის, რომ შსს-ს პოზიცია, ფაქტობრივად, „მოამბეს“ პოზიციად

ადიქმება. თუკი სიუჟეტებში რესპოდენტების კომენტარები მაინც არის, როგორც წესი, ეს კომენტარები ეკუთვნის „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ პოლიტიკოსებს და ოპოზიციის იმ ნაწილს, რომლებიც საპარლამენტო უმრავლესობის პოზიციებს იზიარებენ. დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ექსპერტების და ოპოზიციის მეორე ნაწილის კომენტარები არ არის. მაყურებელს არც დაკავებულთა ადვოკატების პოზიციას არ აწვდიან. არ არის წარმოდგენილი „ქართული პარტიის“ პოზიცია, მით უმეტეს, რომ „ქართულმა პარტიამ“ წინა დღეს ამ თემაზე სპეციალური განცხადება გაავრცელა და ეს ორწუთიან სიუჟეტში „მოამბემაც“ გააშუქა.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი მასობრივი დაპატიმრების შემდეგ შსს-ს მიერ ვიდეორგოლების სახით გავრცელებულ დაკავებულთა აღიარებით ჩვენებებს უფლებადამცველები და მიუკერძოებელი ექსპერტები ეჭვის თვალთ უყურებენ. ამ ადამიანების პოზიცია „მოამბის“ სიუჟეტებში არასოდეს არ გაშუქებულა.

„მოამბეს“ ჟურნალისტები არაპოლიტიზებული თემების გაშუქების დროსაც გამოირჩებიან ზედაპირულობით, ზერელე დემოკიდებულებით. არღვევენ ჟურნალისტიკის სტანდარტებს და ეთიკას. მაგალითად, 11 ივნისს „მოამბე“ გვიამბობს კრიმინალურ ისტორიას კახეთის რეგიონიდან - „მოზარდმა მოზარდი დაჭრა“. ჟურნალისტი არღვევს ეთიკის ნორმას, რომლიც მიხედვითაც რეკომენდებული არ არის არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის სახელისა და გვარის გამჟღავნება. სიუჟეტში ეჭვმიტანილის ვინაობა გაშიფრულია. გასაკვირია ამ არაფრით კრიმინალური ისტორიის პოზიციონირება „მოამბის“ ბადეში (#2 სიუჟეტი), როცა სიუჟეტში არ არის გაანალიზებული არასრულწლოვანთა დანაშაულის ზოგადი ტენდენციები და მსგავსი შემთხვევების მიზეზები.

ზოგადად, „მოამბე“ ხშირად ხსნის გადაცემას კრიმინალური თემით, რომელსაც განსაკუთრებული დატვირთვა არ გააჩნია. ასეთი პოზიციონირება გასაკვირი არ იქნებოდა, საქმე რომ გვექონდეს რომელიმე კერძო ტელევიზიასთან, რომელიც ასეთ „მძაფრ თემებს“ მეტ მნიშვნელობას ანიჭებს მაყურებლის მისაზიდად. საზოგადოებრივ მაუწყებელს კი მსგავსი ისტორიების გაშუქება ბევრს არაფერს მატებს.

II


გაზეთი „ალია“

მედამონიტორი: სალომე აჩბა


ხუთკვირიანი მონიტორინგის განმავლობაში გაზეთ „ალიასა“ და მის ყოველკვირეულ, შემაჯამებელ გამოცემა „ქრონიკაში“, მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით ჯამში 76 მასალა გაშუქდა, აქედან 5 საზღვარგარეთ მიმდინარე მოვლენებს ეხებოდა, 71 კი ადგილობრივ, ლოკალურ მოვლენებს.

მონიტორინგის პერიოდში გამოცემაში გაშუქებული ქვეთემები

სულ: 76 სტატია





სტატიების გეოგრაფია:



სუბიექტები

განალიზებულ სტატიებში შეგვხვდა შემდეგი სუბიექტები: (სუბიექტებისთვის დათმობილი სივრცე მოცემულია სმ.კვ-ში





ზოგადი ტენდენცია, რაც ხუთკვირიანი მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, ისაა რომ გაზეთ „ალიას“ სერიოზული პრობლემები აქვს პროფესიული სტანდარტების კუთხით. გამოცემაში, მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული სტატიების აბსოლუტური უმრავლესობა სკანდალზე, ჭორებზე, კულუარულ ინფორმაციებზე, ჟურნალისტის ვარაუდებზეა აგებული. გამოცემას აკლია აკადემიურობა, ჟურნალისტები სხვადასხვა სუბიექტზე, განსაკუთრებით - ხელისუფლების წარმომადგენლებზე წერისას არიან არაეთიკურები, მიკერძოებულები. ბევრი სტატიის პრობლემაა ბალანსიც. ხშირ შემთხვევაში სტატიები ცალმხრივია და მხოლოდ ერთი მხარის პოზიციას ახმოვანებს.

დასავლური მედია, უკვე დიდი ხანია უარს ამბობს ინტერვიუების იმ ფორმაზე, რაც ქართულ მედიაში გვხვდება ხოლმე (კითხვა-პასუხი) . გაზეთი „ალია“ კი, სწორედ ამგვარი ინტერვიუების ხშირი გამოქვეყნებით გამოირჩევა. ჟურნალისტური სტანდარტების მიხედვით, ჟურნალისტმა ინტერვიუს დროს ბალანსი უნდა დაიცვას რესპონდენტის ოპონენტის პოზიციის წარმოჩენით და მასზე რესპონდენტისგან კომენტარის თხოვნით. მონიტორინგის პერიოდში , გაზეთ ალიაში მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ინტერვიუების სრული უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს ამ სტანდარტს - ჟურნალისტები ვერ, ან არ უსვამენ რესპონდენტებს მწვავე, კრიტიკულ, აქტუალურ, საინტერესო, კვალიფიციურ შეკითხვებს. „ალიას“ ინტერვიუების უმრავლესობას აკლია აკადემიურობა, შესაბამისად ის, მეგობრების ჭორაობის ბეჭდურ ვერსიას უფრო ჰგავს, ვიდრე სერიოზულ ჟურნალისტურ მასალას. მაგ: 30 მასისი „ქრონიკაში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ აქტივისტთან გია ყრუაშვილთან, რომელიც იხსენებს 26 მაისის საპროტესტო აქციის სპეცრაზმის მიერ დარბევის ფაქტს. რესპონდენტი გაზეთის ფურცლებიდან გადაუმოწმებელ, ჭორის დონეზე გავრცელებულ ინფორმაციას ავრცელებს, გამოცემა კი ამ ინფორმაციას ყოველგვარი გადამოწმების გარეშე უკეთებს ტირაჟირებას. ინტერვიუში ჟურნალისტის ჩართულობა რამდენიმე ემოციური რეპლიკით შემოიფარგლება. მაგ: **„საშინელ რაღაცებს მიყვებოდნენ, თემურ შაშიაშვილს ველაპარაკე და მითხრა, ერთი სპეცრაზმელი ყურის მოჭრას მიპირებდაო!“** - ჟურნალისტის ამ „კითხვაზე“ პასუხად რესპონდენტი 26 მაისთან დაკავშირებულ კიდევ უფრო მძაფრ ისტორიებს ყვება, მათ შორის იმასაც, რომ სპეცრაზმმა აქციის მონაწილეები გააუპატიურა, თუმცა ამის უშუალო თვითმხილველი თვითონ არ ყოფილა და არც ინფორმაციის კონკრეტულ წყაროს ასახელებს. სამწუხაროდ, ინფორმაციის სანდოობით არც ჟურნალისტი დაინტერესებულა, მონათხრობზე რესპონდენტს მან მხოლოდ ზერელე „შეკითხვა“ დაუსვა - **„გია, რას ამბობ?“** რაზეც რესპონდენტი პასუხობს, რომ არაფერია გასაკვირი, რადგან ქვეყანას კრიმინალი პრეზიდენტი ჰყავს... და აქ, ჟურნალისტი კვლავ

ერთგვება ინტერვიუში - „საშინელ რაღაცებს ჰყვები, გია“. ამბგვარი არაკადემიური, ყოველგვარი სტანდარტიდან ამოვარდნილი ინტერვიუ, სამწუხაროდ ძალიან ხშირად იბეჭდება „ალიაში“.

ხუთკვირიანი მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ „ალიაში“, მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული სტატიები, როგორც წესი ცალმხრივი და დაუბალანსებელია, ჟურნალისტები კი ძალიან მიკერძოებულები არიან. აშკარა და თვალშისაცემია ჟურნალისტების მკეთრად ოპოზიციური განწყობა. გამოცემაში ხშირად ქვეყნდება გადაუმოწმებელი ინფორმაციები, მათი ძირითადი ნაწილი ვარაუდებს, ჭორებს, სუბიექტურ მოსაზრებებს, კულუარულ ინფორმაციებს ეყრდნობა. ჟურნალისტები აქტიურად იყენებენ ანონიმურ წყაროებსაც. გამოცემაში ანონიმური წყაროს სახელით, ზოგჯერ მეტად არარეალური, დაუჯერებელი ინფორმაციებიც ქვეყნდება. რიგ შემთხვევებში ფაქტი და კომენტარი ერთმანეთისგან მკვეთრად გამოყოფილი არ არის.

კიდევ ერთი განსაკუთრებული პრობლემა უდანაშაულობის პრეზუმფციაა. რიგ შემთხვევებში ჟურნალისტებს ბრალდებული, ან ეჭვმიტანილი დამნაშავედ გამოჰყავთ. მაგ: 16-19 ივნისის ნომერში, გამოქვეყნდა მოკლე ინფორმაცია სათაურით „პოლიციამ ვერელი მანიაკი დააკავა“. ჟურნალისტი სათაურშივე მანიაკად მოიხსენებს მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილ პიროვნებას. ვფიქრობთ ჟურნალისტის მხირდან ადგილი ჰქონდა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ნიშნებს, რადგანაც ეჭვმიტანილი მკვლელად, დამნაშავედაა მოხსენებული. 2-6 ივნისის ნომერში კი დაიბეჭდა მასალა სათაურით „ცოლმა ქმარი მოკლა“ – „ზესტაფონის რაინის სოფელ სვირში ქმარმა ცოლი მოკლა (...) 26 წლის ნანა გამრეკლიშვილი ცივი იარაღით ყელის არშიე დაჭრა, მკვლელობის შემდეგ ილლია ნაჭყებია სახლიდან გაიქცა“- ვკითხულობთ მასალაში. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც საქმე უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ნიშნებთან გვაქვს. ჟურნალისტს მკვლელად გამოჰყავს პიროვნება ისე, რომ არ არსებობს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

რიგ შემთხვევებში, სტატიებში ვხვდებით არაეთიკურ, შეურაცხმყოფელ, ირონიანარევ ეპითეტებსაც, განსაკუთრებით ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ. მათი ნაწილის ავტორები რესპონდენტები არიან, ნაწილი კი თავად ჟურნალისტები. მაგ: (13-19 ივნისის ნომ. „რა კომენტარს აკეთებს მარიკა ვერულაშვილი ბიზნესმენი ქმრის დაკავების შესახებ“) ჟურნალისტმა სტატიას ამგვარი შესავალი, ე.წ. ლიდი შეურჩია: „რა რენი ჰარლინი, რა კერკეტი კაკალი და აგვისტოს 5 დღე, გაუშვით მერაბიშვილი ჰოლივუდში და მიეცით „ოსკარი“, ნამუსი არ გაქვთ?! რასაც ეგ ფილმებს იღებს, რა ჩანაწერებსაც ეგ აკეთებს, და როგორი

შეფუთვითაც ეგ ტელევიზიებს აწვდის, რომელი რეჟისორი, პროდიუსერი, სცენარის ავტორი შეედრება?” (საუბარია შსს-ს მიერ გავრცელებულ ფარულ ვიდეოჩანაწერებზე). ამავე სტატიაში ჟურნალისტი პარლამენტის წევრ მარიკა ვერულაშვილს ირონიულად „ქალ ლეგენდად“ მოიხსენებს. გარდა ამისა, არც თუ ისე იშვიათად, ჟურნალისტები ძალოვანი უწყების თანამშრომლებს „პოლიცმაისტერებსა“ და „ვანოს ბიჭებს“ უწოდებენ ხოლმე. არაეთიკურ ეპითეტებს გამოცემა არც პრეზიდენტის მისამართით იშურებს - „გიჭი კაცი“, „სულელი პრეზიდენტი“ (30 მაისი. ნომ. გვ.17-18). მართალია, ეს სიტყვები არა ჟურნალისტის, რამედ რესპონდენტის მიერ გაჟღერდა, მაგრამ გამოცემა უპრობლემოდ ახდენს მის ტირაჟირებას.

ცალკე საუბრის თემაა გამოცემაში დაბეჭდილი სტატიების სათაურები. როგორც წესი, სტატიების სათაურები კითხვით წინადადებებს წარმოადგენს. ჟურნალისტური სტანდარტების მიხედვით კითხვისნიშნის სათაურები არაკვალიფიციურობად ითვლება, მით უფრო მაშინ, როცა სათაურში დასმულ კითხვაზე პასუხი სტატიაში არ არის, როგორც ეს გაზეთ „ალიაში“ გვხვდება ხოლმე. „ალიის“ სათაურებს ხშირად ცოტა რამ აქვს საერთო თავად სტატიასთან, როგორც ჩანს, გამოცემის მთავარი მიზანია, რომ სტატიას რაც შეიძლება სკანდალური და მყვირალა სათაური ჰქონდეს.

ხუთკვირიანი მონიტორინგის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მართლმსაჯულების საკითხებთან დაკავშირებული სტატიები გაზეთ „ალიაში“ ზედმეტად პოლიტიზებულია. არ ხდება სტატიების სიღრმისეული ანალიზი და საკითხის ფართო სპექტრით გაშუქება. რჩება შთაბეჭდილება, რომ გამოცემის ჟურნალისტებისთვის მართლმსაჯულების საკითხების გაშუქება ხოლოდ იმ შემთხვევაში არის საინტერესო და მიმზიდველი, როცა სტატიის თემა რამე სკანდალს უკავშირდება.

III

გაზეთი „რეზონანსი“

მედიამონიტორი: თეა თოფურია

ხუთკვირიანი მონიტორინგის პერიოდში „რეზონანსში“ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით ჯამში 48 სტატია გაშუქდა. (ამას გარდა კიდევ 6 სტატია შეეხებოდა საზღვარგარეთ მიმდინარე მოვლენებს)

სტატიები ქვეთემების მიედვით ასე გადანაწილდა:


ქვეთემა	რაოდ.
გამოძიება	14
თავისუფლება აღკვეთილ პირთა უფლებები და სასჯელაღსრ. დაწესებულებები	9
სამართალდარღვევა	23
სასამართლო	2

სტატიების გეოგრაფია ასეთია:


რეგიონი	რაოდ.
თბილისი	40
მცხეთა-მთიანეთი	1
კახეთი	2
სამეგრელო	2
ქვემო ქართლი	2
აფხაზეთი	1
შიდა ქართლი	1
ცხინვალის რეგიონი	1
საზღვარგარეთი	6

შეგხვდა შემდეგი სუბიექტები:

სუბიექტების გაშუქების სივრცე მოცემულია სმ.კვ-ში



სუბიექტების გაშუქების ტონი



„რეზონანსის“ მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ჟურნალისტები ძირითადად მუშაობენ ნახევრად პოლიტიზებულ საკითხებზე, როგორცაა მიტინგების დარბევა და ასე შემდეგ. სტატიებში დასმულია ძალზედ საჭირობო და შემაშფოთებელი საკითხები, მაგრამ ეს საკითხები არ შუქდება იმდენად ღრმად, როგორც საჭიროა.

ჟურნალისტები ძირითადად ეყრდნობიან სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. განსაკუთრებით შეიმჩნევა სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან კომენტარების ნაკლებობა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ გაზეთებში არ იბეჭდება პირდაპირი კომენტარები სასამართლოს, ადგილობრივი თვითმმართველობის, თავდაცვის სამინისტროს და რაც მთავარია, სასჯელაღსრულებისა და პროზაციის სამინისტროსგან, მიუხედავად იმისა, რომ ამ სამინისტროს მიმართ სტატიებში ყველაზე მეტი პრეტენზია გამოითქმის. როგორც სტატიებიდან ირკვევა, კომენტარების მოპოვებას რიგ შემთხვევაში ჟურნალისტები უბრალოდ ვერ ახერხებენ. თუმცა, არის ბევრი შემთხვევა, როცა გაუგებარია, თუ რატომ არ არის გაშუქებული მეორე მხარე: განსაკუთრებით - სასამართლო და პროკურატურა. ამასთან, სტატისტიკის თანახმად, ყველაზე უარყოფითი ტონით გაშუქებულია სახელისუფლებო სტრუქტურები, კერძოდ: სასჯელაღსრულებისა და პროზაციის სამინისტრო, კუდი, პოლიცია, შსს...

მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით, 30 მაისიდან 3 ივლისის ჩათვლით, „რეზონანსში“ არ შეგვხვდებოდა საგამომიებო სტატიები. თუმცა, თემები ამას მოითხოვს. აღინიშნება ერთი ტენდენციაც - კვირების განმავლობაში იბეჭდება ერთმანეთის მსგავსი სტატიები, ერთი და იგივე თემაზე, რომელიც უკვე არაინფორმატიული ხდება, მაშინ როცა სიღმისეულ გამოძიებას გაზეთი მკითხველს არ სთავაზობს: მაგალითად, მთელი თვის განმავლობაში იბეჭდებოდა სტატიები იმის შესახებ თუ რამდენი კაცი დაიკარგა 26 მაისის დარბევის შედეგად. ყოველი მომდევნო სტატია, გარკვეულწილად შეიცავდა წინა სტატიების ინფორმაციას და იმეორებდა უკვე ბევრჯერ ნათქვამ დეტალებს.

გარდა ამისა, შეინიშნება არასწორი პოზიციონირება და არაპროფესიონალიზმი ფოტოების განთავსებასთან დაკავშირებით. ფოტო თითქმის არასდროს ასახავს სტატიის მთავარ თემას. მაგალითად ერთ-ერთ სტატის დაერთო პოლიტიკოს ეკა ბესელიას ფოტო, მაშინ, როცა ის სტატიაში ნახსენები საერთოდ არ იყო.

გარკვეულ სტატიებში ჩნდება კითხვები, რაზეც ჟურნალისტი არ პასუხობს. სტატიებში ძირითადად ინფორმაციის წყაროდ და ინტერვიუერად იყენებენ ერთი და იგივე პირებსა და ორგანიზაციებს, ზოგჯერ მაშინაც კი, როცა ესა თუ ის საკითხი მათ კომპეტენციაში არ შედის.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა ისიც, რომ ჟურნალისტები ხშირად ნათლად ვერ აყალიბებენ პრობლემას. ამასთან, ხშირად იდენტიფიცირებული არ არის ესა თუ ის სუბიექტი: მაგალითად, „წამიყვანეს და მცემეს სამმართველოში“... არაა გარკვეული, თუ ვინ წამიყვანა, სპეცრაზმმა თუ პატრულმა, რომელ სამმართველოში, ვინ ცემა და ასე შემდეგ, რაც

ფაქტის იდენტიფიცირებას ხელს უშლის. გარდა ამისა, გვხვდება ასეთი ტერმინებიც: „მერაბიშვილის უწყება“, „საგარეო უწყება“... რაც გაუგებრობას ბადებს.


IV

გაზეთი „ახალი თაობა“


მედია მონიტორი: შორენა ლათათია

მონიტორინგის პერიოდში მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით სულ 59 მასალა გამოქვეყნდა. რომელთაგან 53 ადგილობრივ მოვლენებს, 6 - კი საზღვარგარეთს შეეხებოდა.

სტატიების გეოგრაფია




ქვეთემები:




სუბიექტები

განალიზებულ სტატიებში შეგვხვდა შემდეგი სუბიექტები: (სუბიექტებისთვის დათმობილი სივრცე მოცემულია სმ.კვ-ში).



გაშუქების ტონი



მონიტორინგმა აჩვენა, რომ აღნიშნულ მედიასაშუალებაში არც თუ ისე იშვიათად ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია.

სტატია მართლმსაჯულებაზე როცა იწერება, ჟურნალისტს განსაკუთრებული ყურადღება მართებს სიტყვებისა და გამოთქმების ხმარებისას. სიტყვის დაუკვირვებელმა გამოყენებამ შეიძლება პირი „დამნაშავედ“ აქციოს, იმ შემთხვევასაც კი, თუ ავტორი ამას მიზნად არ ისახავს.

მაგალითისთვის იხ. 2011 წლის 11-12 ივნისის ნომრში გამოქვეყნებული „ნიუსი“:

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავრობის და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ერთობლივად დააკავეს 23 წლის დავით ქვლივიძე, რომელმაც 2011 წლის წლის 9 ივნისს, გამთენიისას, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, დანის გამოყენებით, გულმკერდისა და ყელის არეში მრავლობითი ჭრილობები მიაყენა 23 წლის სოფრომე ქინქლაძეს, რის შედეგადაც ის ადგილზე გარდაიცვალა. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით. საქმეს იძიებს ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველო.“

ამ შემთხვევაში ჟურნალისტი ეყრდნობა შსს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და არ ითვალისწინებს დაცვის მხარის პოზიციას. ვინაიდან გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს, და პირის მიმართ არ დამდგარა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ცალსახად იმის თქმა, რომ **„23 წლის დავით ქვლივიძე 2011 წლის წლის 9 ივნისს, გამთენიისას, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, დანის გამოყენებით, გულმკერდისა და ყელის არეში მრავლობითი ჭრილობები მიაყენა 23 წლის სოფრომე ქინქლაძეს, რის შედეგადაც ის ადგილზე გარდაიცვალა“** არღვევს პირის უდანაშაულობის პრეზუმფციას.

გამოცემაში გამოიკვეთა ცალკეული მიკერძოებული მიდგომებიც. მაგალითისთვის 26 მაისის აქციის დარბევის გაშუქების დროს ეს მიკერძოებული მიდგომა იმაში გამოიხატა, რომ ზოგიერთ სტატიაში ხელისუფლება ერთადერთი დამნაშავედ იყო გამოყვანილი.

2011, 30 მაისი „ახალ თაობაში“ სტატია (სააკაშვილს პირში ვუთხარი, რომ მკვლელიაგვ.6) იწყება შემდეგი ფრაზით:

„მართალია, მიხეილ სააკაშვილმა 26 მაისს რუსთაველზე ქართველების დასჯისა და დაშინების ოპერაცია ჩაატარა, მაგრამ რეალურად უფრო დიდი პროტესტი მიიღო.“ აღნიშნული ცხადყოფს ჟურნალისტის (გულიკო ბალაძე) დამოკიდებულებას საკითხისადმი. ცალსახაა, რომ ის ოპოზიციურადაა განწყობილი, რაშიც სტატიაში მოცემული სხვა არაერთი ფრაზაც გვარწმუნებს. მაგალითად: **„ქართული საზოგადოება ხელისუფლების მიერ მშვიდობიანი მომიტინგის ხოცვა-ჟლეტის მოწყობის გამო განრისხებული და მუშტმემართულია...“**

მონიტორინგმა აჩვენა, რომ მასალებში ხშირად არ არის დაცული ბალანსი. როგორც წესი, არ არის გაშუქებული ორი მხარის პოზიცია და ხშირად თავად ჟურნალისტის პოზიციაც აშკარად იკვეთება. „ახალი თაობის“ ჟურნალისტები ხშირად იყენებენ ინტერვიუს ფორმას, რაც ასევე განაპირობებს საკითხების ცალმხრივ გაშუქებას. სინამდვილეში კი ჟურნალისტის

როლი არ საკუთარი არამედ სხვების შეხედულებების ობიექტური, მიუკერძოებელი და აკურატული გაშუქებაა.

აღსანიშნავია, რომ მართლმსაჯულების თემაზე, ჩვენს მიერ შერჩეულ პერიოდში, მასალათა უმრავლესობა ე.წ. „ნიუსია“, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ პასუხობს დადგენილ სტანდარტებს. კითხვები: ვინ? რა? სად? როდის? რატომ? როგორ? ხშირად პასუხგაუცემელია.

კვლევა ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული გაეროს განვითარების პროგრამის მედიის მონიტორინგის პროექტის ფარგლებში. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ადამიანის უფლებათა ცენტრის მედიამონიტორებს და შესაძლოა, არ ასახავდეს ევროკავშირის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.